

# ქართული სახელოვნებათმცოდნეო გერმინოლოგიის ღაღბენისათვის

დოქტორი თუმანიშვილი,  
ზაზა სხირტლაძე

გერმინოლოგიის ამ, თუ იმ დარგის წინსვლა თავისთავად გულისხმობს სამეცნიერო ენის განვითარებას. მის თანდათანობით ჩამოყალიბებას, და დახვეწას. ამ მხრივ ყოველი წინ წიდგმული ნაბიჯი განსაკუთრებით ჰაფიოდ ეულტურისა და მისი ისტორიის შემსწავლელი მეცნიერების დარგებში აისახება ხოლმე. უანსკენელთაგანია, რასაკვირველია, ხელოვნებათმცოდნეობაც და, ნიშანდობლივ, ხელოვნების ისტორია.

ქართული სახელოვნებათმცოდნეო ტერმინოლოგიის დადგენა-დახვეწება იმთავითვე სამართად რთულ ვითარებაში ხდებოდა. თუ ერთი მხრივ, ქართველი მეცნიერები მუშაობისას აუცილებლად უნდა დაფუძნებოდა ევროპელისა და რუსული მეცნიერების მონახეარო, მათი უკვე შემუშავებული ლექსიკონით, მეორე მხრივ, შესაბამისი ქართული ტერმინები ან საერთოდ არ არსებობდა, ან დაზიარებული იყო, სულ ცოტა, ხაყლებად იხმარებოდა. ბუნებრივია, ამ გარემოებამ მრავალი ცნების სესხება იუ გადმოქართულება გამოიწვია. ზოგ შემთხვევაში ამ კითხვად საყურადღებო შედეგაც მივიღეთ ასე. მაგ. რუსული «художественная практика» მარტოებულმა «სხოველხატეულმა» - შესაბ-

ლოა, ცოტა მძიმემ. არიდა, ჩვენს მეტყველებასა და აზროვნებას დედნისეული სიტყვისა და მისი ევროპული წინასახეების (malerish, pittoresque, picturesque) არაზროვნება, მისი დაკავშირება მარც და მაინც მხატვრობასთან.

უცხოენოვანი ცნებების გადმოღება, გარკვეული ოდენობით, უეჭველად გარდუვალი იყო მაგრამ არანაყლებ მნიშვნელოვანი იყო სხვა გზაც გზა ქართული თუ ქართულს შესისხლბორცებული. მწიგნობრული თუ ყოფაში ხმარებული სიტყვებისა და გამოთქმების მიგნება-გაცხოველებსა. აქ ქართველ ხელოვნებათმცოდნეთ წინ თვით ივანე ჯავახიშვილი მიუძღოდა. ჟერ კიდევ 1913 წ. თბილისში საქაროდ წაყოფულ მოხატელების წყებაში მან წარმოადგინ, დიდი ნაწილი იმ მასალისა, რაც საყმარო დახანებით გამოიყენობილ წიგნაუ «სამშენებლო ხელოვნება ძველ საქართველოში». შემთხვევითი როდა, რომ 1913 წელსვე «სახალხო გაზეთში» (№№ 797, 800-802) გამოქვეყნებული ამ ლექსიკონის ანგარიშის მიხედვით გ. ჩუბინაშვილმა შეადგინა ქართული სახელოვნეო ტერმინოლოგიის ბარათები. მოგვიანებით მან თეოთონაც (გაეიხსენოთ, იუნდაყ. «თალოსა»,

და „კამარის“ ხმარებისა და სიტყვა: „სიონის“ საზროსის დაზუსტება) და მისმა მოწაფეებმა ბევრი იღვაწეს ქართული სახელოვნებათმეცნიერო მეტყველების გასამდიდრებლად. ამიტომაცაა, რომ დღეს სახელოვნებათმცოდნეო განყოფილებებზე ჩამბარებელთაც კი არ უკირთ ხელოვნებაზე თავისი აზრის ქართულად გამოთქმა. მაშინ როდესაც საუკუნის დამდეგს ამას გამორჩეული ნიჭის პატრონიც ძვირად თუ მოახებებდა.

და მაინც, ახლაც არცთუ იშვიათად მწევრად იგრძნობა სპეციალური ტერმინების უქონლობა თუ ნაკლებობა. სპეციალური თუ პოპულარული ნარკვევების დასაწერად რეცეპტული სახელოვნო ქართულენოვანი სიტყვარის შედგენის საჭიროება. ამჟამად დროს, ქართულ ხალხურ სასაუბრო ენასა და სხვადასხვაგვარ წერილობით ძეგლში ყელაყად დიდძალი გამოსამზერებელი მასალა დაუნჯებელი. მისი წარმოჩენა მნიშვნელოვანწილად შეეხება ქართული ხელოვნებათმეცნიერების ენას. გაზრდის მის სამეტყველო შესაძლებლობებს; თავისთავად ცხადია, რომ ეს ჩვენი დედა-ენის შემდგომი სრულქმნისათვის დიდად სასარგებლო იქნებოდა.

ქვემოთ ჩვენ სწორედ სამეცნიერო ენის ამ გზით გამრავალფეროვნებაზე გვექნება საუბარი. თანაც, მხოლოდ ძველი ქართული ხელოვნების მიმართ. ეს იმას როდი ნიშნავს, თითქმის ახალი და საბჭოთა ხელოვნების საკვლევი ტერმინოლოგია სრულყოფილი გვექნებოდეს, სიძნელე აქაც ბევრია და თანაც ათასგვარი ვულგარიზმის მოძალების საფრთხეც მეტად დიდია. რად ღირს, თუნდაც, რუსულით ჩვენში შემოსული და თუმცა ქართულად, უბრალოდ, უაზრო, მაგრამ ძალზე ძნელად აღმოსაფხვრელი ფორმები. „ქვაში ნაკვეთი“, „ზეთში ნაწერი“, და სხვ. („ქვისგან ნაკვეთისა“, „ზეთის ფერებით ნაწერის“ ნაკვლად). მაგრამ ეს ცალკე დასამუშავებელი საკითხია და ვერც ამჟამად ჩვენ მიერ არჩეული გეზი იქნება, ალბათ, მის გადასაჭრელად შედეგანი.

პირველად ძველი ქართული ხეროთმოდღვრების ტერმინოლოგიის საკითხებზე უნდა შევხებოდეთ. ხეროთმოდღვრების ისტორიის ვარკვევით დაიწყო ქართული ხელოვნების შესწავლა. მის შესახებ, ხელოვნების სხვა დარგებთან შედარებით, ბევრად უფრო მეტ ქართულენოვანი გამოყვლიევია გამოქვეყნებული და რა გასაკვიროა, რომ აქ ტერმინე-

ბის მხრივაც ბევრად უკეთეს მდგომარეობა გვაქვს. მაგრამ სამეცნიერო სიტყვარის განვრცობა მაინც არის შესაძლებელი ერთი, რატომღაც გაკირდა მთელი რიგი ქართული სიტყვების დამკვიდრება. 1930-40-იან წლების ნაშრომებში თუ წაწყდებით ძველ ქართულ „საცვარეს“-2 „ქარნიზის“ მნიშვნელობით; ბოლო დროს აქედან განიღვენა ამჟამად აზრის მატარებელი სიტყვები „ლაუგარდანი“ და „ჯობილი“-2. აქ-იქ თუ შევხვდებით „ხარისხსაც“-1 — ეს ძველი სიტყვა საფეხბროვან ფორმას აღნიშნავს და იგი შეიძლება „სოკოლი“-2 მაგივრად მოვიტანოთ და საკურთხეველში სამღვდლოების დასაქდომის სახელადაც. არანაკლებ იშვიათია „აღბაგის“-2 ხმარებაც „სოლესა“ სინაცვლოდ და, საერთოდ, ვერსად ვნახავთ, ალბათ, „აღსავლის“-2. ეს უკანასკნელი საკურთხეველად ასახელებული ყობის სახელწოდებაა და მას მოკლებით თითქმის გაუგებარი გახდა კანკლის კარის ქართული სახელწოდება, „აღსავლის კარი“-2; ხოლო ამ ცნებათა ნათესაობა ეგებ, ძველი დროის ქართულთა წარმოდგენაში საკურთხეველის ხეროთმოდღვრული სახის ნაწილთა ერთიანობის გამოშხატველს იყოს.

ტერმინების მეორე წყება ქერ საერთოდაც არ ყოფილა შემოტანილი სამეცნიერო მეტყველებაში, თუმცა ზოგიერთი მათგანი მაინც საყურადღებო ჩანს. პირველ ყოვლისა, აქ სხვადასხვა მოხაზულობის თაღების სახელწოდებანი არის აღსანიშნავი. თაღის სახეობებს ჩვენ ან ვერაპული ენებიდან და რუსულით შემოსულ-გადმოთარგმნილი სახელებით ვიცნობთ. მათ ერთ ნაწილს კი ქართული შესატყვისებიც მოეპოვება. სახელდობრ, საქართველოში დადასტურებულია ე.წ. „ნახევარწრიული“, და „შეისრული“ თაღების იგივეობრივი რამდენიმე ცნება. პირველს „კოლონი“-2 (ეს სიტყვა სომხურშიც ყოფილა), მრგვალი ან ფარგლის თაღი ეწოდება. ვფიქრობთ, ამ სამიდან განსაკუთრებით შესაძვეა მოსაწონი, იგი გადმოქართულბულ ტერმინზე არანაკლებ გადმოსცემს ამ სახის დამახასიათებელ თვისებებს: გეომეტრიულ სისწორეს, უფრო ძნელაა შეისრული თაღის სახელის არჩევა იმთავითვე გამოსარიცხია მხოლოდ „კვერცხის თაღი“ — ცნება რომელიც უკვე კარგია ხანია მართებულად სხვაგვარი მრუდის მიხედვით, გვჩვენა ორი სხვა სიტყვა „მოყულებული“ და „აწეული თა-

ღა, დაახლოებით თახაბარი ღირსებისა; "შე-  
სალოა ოდნავ უკეთესი მაინც მეორე იყოს"  
დიდად საგულისხმო ჩანს სხვადასხვაგვარ  
გამართული სახურავების ქართული სა-  
ხელებიც. ორქანობა სახურავს ქართული ხე-  
ლოსნები "თავიდათავ სახურავს" უწოდებენ,  
ხოლო საერთო წვეროდან ოთხ ქანობად გაშ-  
ლისს კი "მოხვეულ" ან "ოდურ სახურავს".  
"ქვეა სახსენებელი ტერმინი "საქარეც" -  
იგი შენობის განივ კედელზე სახურავის  
ფერდებს შუა მოქცეულ სამკუთხა არის  
ღნიშნავდა და ამდენად. ზოგად "ფრონ-  
ტონს" უდრის. ეგებ, სხვებზე მეტად ამ სიტყ-  
ვის ხმარების შესაძლებლობა იყოს სათუო.  
- ბინათმშენებლობაში გაჩენილი, იგი, ერთ  
შეხვევით მაინც ნაქლებ შესაფერისი ჩანს  
ხეყლესო თუ სატაძრო ნაგებობათათვის.  
იმასლა ვიტყვი, რომ მსგავსადვე უნდა იყ-  
ოს წამომობილი "ფრონტონის" გერმანულ  
შესატყვისი "Giebel"-იც და ამან ოდნავდაც  
გარ შეუშალა ხელი მის დამკვიდრებას.

აღანიშნავია ზოგიერთი ტექნიკური ცნე-  
ბაც წყლიდან ამოღებულ, ე. წ. წყლით ნაგო-  
რებსა და მომრგვალებულ ქვას "სიპს" უწო-  
დებდნენ. ეს სიტყვა უფრო ფართო მნიშე-  
ნელობაა, ვიდრე ახლა ხმარებული "რო-  
ფის" ე. წ. რიყეზე აკრეფილი - ქვა,  
თუმც, იმასვე კი ნიშნავს. უფრო ფართოდ  
არის მოსახმარი უთუოდ "უორე წყობა"  
ცნებაც "შპრალი წყობის" აზრით. მაგრამ  
ამზე კიდევ საგულისხმო გვეჩვენება მა-  
სალასთან დაკავშირებული ორი სხვა სიტყ-  
ვა: "უთლელი ქვა" და "მოთხეითი ქვა".  
ამათგან პირველი "თლილი ქვის" საპირისპი-  
რო ცნებაა, ჩვეულ "ნატებს" და "ნაფლეი-  
ზე" უფრო კეთილხმოვანი და არანაკლებ  
ჩეტყველიც. "მოთხეითი" ოთხკუთხად გა-  
მოთლილ ქვას ნიშნავს და უეჭველად  
"ფადრის" შესატყვისია; იგი ოთხკუთხა ფი-  
ლის სახელი ვერ იქნებოდა, რაკი მას "ფიქა-  
ლი" ერქვა და სწორედ კუბურ მოცულობად  
საკეთი ლოდია.<sup>10</sup>

რასაკვირველია, მუდამ როდი ხერხდება  
ძველი ტერმინების საზრისის სრული სიცხა-  
დით გარკვევა. ასე, მაგალითად, ორგვარად  
იხმარებოდა სიტყვა "ბალაეარი". ხშირად იგი  
საძირკვლის ქვას ნიშნავს, მაგრამ საქართვე-  
ლის ზოგიერთ კუთხეში იგი კედლის ზედა  
ლობათა ასწვრივი წყობის მიმართ იხმარება.  
კუმურდოსა და ქართლის ტბეთის ერთ-ერთ  
ქარაფრაში კი კარის გადამხუთავი ქვის სახე-

ლია.<sup>11</sup> ამ უკანასკნელა აზრით გამოიყენება  
იგი ზოგიერთ აწინდელ ნაშრომშიც და ჩვე-  
ნი ფიქრით, სწორადაც; მართლაც, საბრძო-  
ლო, ქვის საგანგებო სახელი ნაქლებ მოსახმა-  
რია; ლობის გადამხურავი ქვის სახელწო-  
დებ, კი არა ჩანს და ჩვენ იძულებული ვართ  
მას "არქიტრავი" ვუწოდოთ, ეს დიდად მო-  
ხერხებული იმტომაც ვერ იქნება, რომ "არ-  
ქიტრავი" ანტიკური ორდერის ერთი ნაწი-  
ლია და უმჯობესა, მასვე დაერქვას. "ბალა-  
ეარი" კი კარისა თუ სარკმლის დამასრულე-  
ბელი მოზრდილი სწორკუთხა ქვის აღნიშ-  
ნვად დამკვიდრდეს. ასევე ბუნდოვანია სხვა  
სიტყვაც, რომელიც შეიძლება დიდად გამო-  
გვდგომოდა. სულხან-საბა ორბელიანის "სი-  
ტყვის კონაში"<sup>12</sup> მოტანილია "ბალა ნაგებ  
საფლავად" განმარტებული "ტაგრუცი". ნო-  
კო ჩუბინაშვილის "ლეჟიკონში" იგი "рѣдѣ-  
ннѣ" -დ არის თარგმნილი, მაგ-ამ სიტყვა  
"საფლავის" განმარტებიდან აშკარა ხდება,  
რომ იგი არ არის ნაგებობა, არ მოიცავს შიდა  
სივრცეს.<sup>13</sup> ხომ არ შეიძლება იგი "назрѣ-  
ннѣ"-ს მნიშვნელობით ვიხმაროთ, გვარობრივ  
ცნებად "საფლავის ქვია" და "საფლავის  
ძეგლისთვის"?

ვლასარაკობთ რა, ამა და სხვა სიტყვების  
შემოტანა-დამკვიდრებაზე, ჩვენ უპირატე-  
სად ამ ვგულისხმობთ უცხოენოე-ნი, თუ  
უცხოენოვანთა მიხედვით ნაწარმოები ცნე-  
ბების განდევნას. არამედ უფრო ჩვენი სიტ-  
ყვარის სინონიმებით გაზრდა, ვესწრაფვი-  
ყოველ შემთხვევაში, თუ რუსი ან უცხოელი  
კოლეგების ეროვნული ტერმინოლოგიაში  
დამოკიდებულებას დავაკვირდებით დავრ-  
წმუნდებით, რომ ადგილობრივი წარმომავ-  
ლობის ცნებათა მოკარბებაც კი ვერ გამოიწ-  
ვეს სახელოვნებათმცოდნეო ნაწერების ენის  
გაარქაულებასა თუ გაკუთხურებას, რისი  
რიდიც არა, ეტყობა. საერთაშორისო, სა-  
ყოველთაო სიტყვა-გამოთქმების მომრავლე-  
ბის ერთი მიზეზი.

ამგვარი დაეკვებაც კი სრულებით გამო-  
რიცხულია შუა საუკუნეების სახეითი ხე-  
ლოვნების მიმართ, ამ ღარგში თავისთავად  
ცხადი რამაა კედლის მხატვრობისა თუ ხატო-  
წერის. ქვაზე კეთილობისა თუ ლითონმქან-  
დაკებლობის ტექნიკური ტერმინოლოგიის  
სხვადასხვა სკენების, იონოგრაფიული ტი-  
პების, გამოსახულებათა თანმხლები საგნების  
ძველი სახელების კოდნის საკირთება სამა-  
გიეროდ, განუზომლად დიდია მათი მოძიე-

ბის სირთულეს ქართულმა მწერლობამ არ შემოგვიჩინა არ ჩვენი არ ეიცოთ მის შესახებ — ისეთი ძველი, სადაც ევროპულ-ბიზანტიურ-რუსული „ნიმუშითა წიგნების“ მსგავსად თავმოყრილი იქნებოდა თუ ყველა ტერმინის არა, მათი დიდი ხაზილი მარსე ჩვენში მათი მივლევას დიდძალ წყაროთა ვადამიჩვენებს მოითხოვს და ზოგჯერ ესა თუ ის ცნება სრულიად მოულოდნელად აღივსება აღმოჩნდება. ასე, ხატზე აღმათ კედელზედაც დატანილი მოსამზადებელი ნახატის ძველი ქართული სახელწოდება სულსან-სანა ორბელიანის ერთ-ერთ ქადაგებაში მოიძებნა. მას „აჩრდილი“ რქმევია.<sup>11</sup> ტექნიკური ტერმინები კი ჩვენ საზოგადოდ სხვაზე მეტად გვიკვირს — მათგან თითქმის არაფერია ცნობილი: ზოგიერთი საღებავის დასახელებაა — მაგ. „ზირნიზი“ (აურიპიკემენტო), „ბივიროლი“ (ზღვისფერი)<sup>12</sup> და ხატის ზოგი ნაირსახეობის სახელი. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით ძვირფასი გვეგონია, ენაიდან ქართულში გაგვარჩია „ენაუსტიკის“ სინონიმად სახმარი „ცილოანი ხატი“<sup>13</sup> და რუსულიად გამოღობებული „ფერწერული ხატის“ ძველი შესატყვისი „წერილი ხატი“<sup>14</sup> დასასრულს, სახვითი ხელოვნების მოქმედთა აღნიშვნელი სიტყვების ვაჭვს, საბედნიეროდ, უკვე ფიქსირებული მოქანდაკე, მხატვარი, ოქრომქანდაკებული და სხვ. ამ რიგის ძველი ტერმინები თანამედროვე ხელოვნებათმეცნიერებას, მართლაც, ყოველთვის როდი გამოიღვება, არა გვეგონია, მაგ., „მომხატველის“ აზრით ნახმარ ძველქართულ „მწერალს“<sup>15</sup> დღეს ენის საისტორიო მნიშვნელობის გარდა რაიმე სხვაუკმონდეს. პირიქით, სავსებით დასაშვებია გვეგონია ისეთი ტერმინების გამოყენება, როგორცაა „წარმწერელი“.<sup>16</sup> ე. ი. წარწერითა ამოყვეთი, ანდა „კერამიკის“ შესატყვისი ძველი „მევეცეობა“.<sup>17</sup>

სხვაგვარი სირთულე ახლავს საკუთრივ გამოსახულებათა შესახებ ტერმინების გარყვევას, აქ თავი და თავი სახელსაღები მასალის არაჩვეულებრივი სიმრავლეა. ჩვენ სადღესოდ მტკიცედ დადგენილი ვაჭვს მხოლოდ უძირითადესი, ყველაზე გავრცელებული გამოსახულებების, საყოველთაოდ ცნობილ ტექსტებსა და მრავალრიცხოვან წარწერებში დამოწმებული ზედწოდებანი — მაგ. საუფლო დღესასწაულნი ან „კედრება“. ეს არ ითქმის ვთქვათ, ძველი აღქმის კომპო-

ზიციების შესახებ: რა უნდა ეწოდოს თუნდაც სკანდალური, ვამოსახულოც ფერის (ასე გამოითქმის, ძველ ქართულში დასხვავდაც შდრ. ანუ ლათინურული ბიბლია „ფარაონი“) ასულის მიერ, ჩველი მოსეს კადარჩება? დიდი არაფერი დანამაული იქნებოდა, ცხადია, მისთვის სხვაენოვანი ტექსტების მოშველიებით „მოსეს ვადარჩენა“, „მოსეს ხინა“ ან „მოსეს მოპოვება“ დაგვიძახებინა მაგრამ თუ ჩვენში უკვე მიღებულ წესს მივსდით და ეს სახელწოდება ქართული ტექსტის მიხედვით „ეგვიპტელ ლტოლვისა“ და მისთანაა გვარად მოვიძიოთ, უმჯობესი იქნება „მოსეს ვარჩინება“ ვთქვათ, რაკი „გამოსულათა წიგნში“ შესაბამისი აფგილი ასე იკითხება: „და იბილა ყრმაჲ იგი, ტროლდა კილობანსა მას შინა და განარჩინა ასულმან ფარაონმან“ (2,16). სათანადო წყაროს ძველქართულ თარგმანთან შეყურება, ჩვენი შეხედულებით, ყველა სხვა შემთხვევაშიც ბიბლიურ გამოსახულებათა სახელდებისას უცილობელი მოთხოვნა უნდა იყოს ამ შრივ გასამართი გვეგონია თვით ერთ-ერთი საღმრთო დღესასწაულის დასახელება, რომელიც ამჟამად „საიდუმლო სერობად“ იწოდება. ამ დროს კი არც ქართულად და არც ევროპულ ენაზე ამ უკენას ასე არ რქმევია (სერობა, უფლის სერობა, Abendmahl Christi, Last Supper) „საიდუმლო“ ქართულ ზედწოდებაში უფოდ „тайная вечеря“-ს გზით არის მოხვედრილი არა გვეგონია, გართლებული იყოს ისტორიულად ჩამოყალიბებული ქართული ფორმა ნებისმიერად სპეციფიკურად რუსულით შეეცვალოთ. ამგვარად შესამოწმებელი სხვადასხვა აქსესორების სახელწოდებანიც იმგვარადვე, როგორც ვამბობთ „შეჯლის ფიცარს“ ან „სილოამის საბანელს“, უნდა ითქვას, მაგ. „კილობანი შეჯლისა“, ან „კარავი საწამებლისა“, „კობორიუმი“ „ჩარდახით“, „სალაზინებლითა“ ან „საიბურით“<sup>18</sup> უნდა შეიცვალოს თავ-თავიანთი სახელები უნდა დაერქვას ებრაელი მღვდელმთავრებისა თუ ქრისტიანული ეკლესიის შაბურთა შესამოსელის ნაწილებს, სხვადასხვა ჭურჭელსა და ა. შ.

საგანგებოდ ყურადღებაშისაქცევია იონოგრაფიული ტიპების ეროვნული სახელწოდებანი. ამ შრივ, ჩვენ, სამწუბაროდ, ბევრად ნაქლები ცოდნა ვაჭვს, ვიდრე თუნდაც რუს ხელოვნების ისტორიკოსებს, მაგრამ საამისოდ მიგნებული დასახელებანი გვარჩმუ-

შეძლებს, რომ ისინი დიდი ღირებულებისა იყოს და ცვლილება შეიძლება გახდეს ამასთან ორი მთლიან დრომდე იმპარატორა -- მათ თუნდაც, ეთაყობიანობის ხარშობებში ეხვეულებით მაგრამ პოლო დროს რატომღაც არიან ახსენებენ. ერთი მათგანი, „პირი ღვთისა“ ანუ „პირი უფლოსა“ მაკხოვრის ე. წ. „ხელთუქმნელი ხატის“ აღმნიშვნელი, ასე უთქვამთ, ტექნიკური ტერმინია. იგი იშვიათი სიმბოლოა და სიმბოლოთა გადმოგვეცემს ამ ტიპის პირობით ნიშანს -- ესაა ხატი, რომელიც საეკლესიო წარმოდგენით იმეორებს მაკხოვრის პირისაზის სისწაულებრივ გაჩენას ანაბეჭდს, იგი მართლაც უფლოს სახედ იგულისხმება. არანაკლებ ღირსშესანიშნავია მეორე ტერმინიც -- „ღმრთისმშობელი ჩვილელი“, თუ მეტად არა. არანაკლებ მეტყველი. ეიდრე განმარტებით-აღწერითი და თანაც ნათარგმნი „ღმრთისმშობელი ყრბითურთ“. მეტად მნიშვნელოვანი გამოდგა კოტა ხნის წინათ მოხატულობათა განმარტებით წარწერებში მივხვდებით ტერმინი „ხატი მიძინებისა“. ამგვარი ზედაწერილი „ქვეს ხოლმე აღსრულებული -- თავდადრევილი, სწორად მეტადზე ხელგადაქვარედინებული იყოს წელზევით გამოსახულებას. ასეთგვარ ხატებს მაკხოვრისას სლავურად «Исписанъ мѣстѣ. Мѣстѣ» ქვეია. მისი ზოგადვერობელი სახელი კი „Pietà“-ა; იგი გერმანულ „Schmerzensmann“-ს და ინგლისურ „Man of Sorrow“-ს უახლოვდება. „ხატი მიძინებისა“ ამ ტიპისათვის საქართველოში შექმნილი, თანესებური და სხვაენოვანთა ტოლფასი ზედწოდებაა. კედლის მხატვრობაშიცაა დადასტურებული „პირი ღვთისა“ ერთ-ერთი სიმსხველი. ე. წ. „ვერონიკას მანდილის“ ქართული შეატყვისი „ხატი მანდილისა“.<sup>21</sup>

ზემოთმოტანილი მაგალითებით საკმაოდ უნდა იყოს ნათელიყოფილი. რაოდენ მრავალსამომტანი შეიძლება იყოს ქართულ ლექსიკაში ხელოვნებათმეცნიერებისათვის მოსაძიარი სიტყვების დაძებნა. მაგრამ ეს ძიებები თითოეულად არათანმიმდევრულია. შემთხვევითი ხასიათისაა და ტერმინებზე დრო და დრო თუ ემატება ჩვენს სიტყვარს. ამის შედეგია, რომ ზოგი მათგანი, ექვემოტანლად სსსრ-გებლო, ფებს ვერ იყავდნენ სამეცნიერო ლიტერატურაში. ისიც ცხადია, რომ ამ ვხით ქართული სახელოვნებათმცოდნეო ტერმი-

ნოლოგიის დადგენა ძალზე გართულდება და უსასრულოდ გაკვირვებები. კიდევ რაც რასაკვირველია, სრულიად გაუმართლებელი იქნებოდა. ამგვარი საქმის განხორციელება მხოლოდ მრავალწლიანი, წინასწარგამიზნული, საგანგებოდ დაგეგმილი შრომის შედეგად თუ არის შესაძლებელი და, თანაც, იგი ერთი და ორი მკვლევარის კი არა, მუშაეთა მთელი დასის გარჯას მოითხოვს.

სახელოვნებათმცოდნეო ტერმინთა დახედვებად, ცხადია, პირველ რიგში ამ მხრივ ადრე გაწეული შრომის შედეგები უნდა იქნას გათვალისწინებულნი. მხედველობაში გვაქვს ისეთი ნაშრომები, როგორცაა ივანე ჯავახიშვილისეული „მასალები ქართული ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის“, მისივე თაოსნობით წამოწყებული მრავალტომეული მასალებისა საქართველოს შინამრეწველობის ისტორიისათვის, აგრეთვე სხვადასხვა ავტორთა ქართული კოსტუმის ისტორიისადმი, პალეოგრაფიული ტერმინებისადმი მიძღვნილი მონოგრაფიები, არქიტექტურულ, არქეოლოგიურ თუ სალიტერატურო ტერმინთა ლექსიკონები, სხვა მომზადებული დარგების ტერმინების შესახებ გამოქვეყნებული სპეციალური წერილები და სხვა.

ხელოვნების ძეგლთა შესწავლის მეთოდები კვლევისას მრავალი მომიჯნავე დარგის საერთოების განხილვასაც გულისხმობს. სწორედ ამშია ხეროთმობიერებისა და კედლის მხატვრობის, მინიატურის, ოქრომჭანდაკვლობის, მინანქრის, დაზვური ფერწერისა და მონაქურ ძეგლთა კვლევის სირთულე. ამ მხრივ ხელოვნებათმცოდნეობა კომპლექსურ, მრავალსპექტრიან მეცნიერებად წარმოგვიდგება. შესაბამისად აღნიშნული სპეციფიკის გათვალისწინებით რთულია ამ დარგის ტერმინოლოგიური ლექსიკონის შედგენაც, რადგან, ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხადია, მასში უნდა გაერთიანდეს სხვა დარგის საისტორიო, არქეოლოგიური, საეთნოგრაფიო, სალიტერატურო ტერმინების ნაწილიც.

ამ ვრცელი მასალის მოსაძიებლად უპირველესი მნიშვნელობის წყაროს, ბუნებრივია, წერტილობათა ძეგლები წარმოადგენს. დარგობრივი მრავალფეროვნების გამო აქაც სრულიად სხვადასხვა რიგის მასალისთან გვაქვს საქმე:

პირველი მათგანი ძველი ქართული ორიგინალური მწერლობის ძეგლებს - საისტო-

რომ ხასიათი, ჰაგიოგრაფიულ თუ საღმრთო-ოსტატეველო თხზულებებს. საერო მწერლობის ნიმუშებს. ვრცელ ისტორიულ საბუთებს აერთიანებს ნარტიულ ძეგლთა, მწიღში შედარებით მრაველ ბელოვების ძეგლთა შექმნის პროცესის დაკვირვებულ ტერმინები. რის თავმოყროლი, ქართული ბელოვების ისტორიისათვის ძალზე ფასეული ამ რიგის პირველწყაროთა უდიდესი ნაწილი დღეისათვის გამოცემულია და ე.წ. სხილია. მნიშვნელოვანწილად აიოლებს, ლექსიკოგრაფიულ სამუშაოს, მით უმეტეს, თუ ვაკითვალისწინებთ, რომ არაერთ გამოცემულ ძეგლს პირთა, გეოგრაფიულ სახელთა საბუთლებთან ერთად ტერმინთა ჩესაც აქვთ.

**მეორე** ჯგუფში ხათარკმნი წყაროები ერთიანდება, კერძოდ ძველი თუ ახალი აღთქმის კანონიერი ან აპოკრიფული წიგნები, ძველი სასულიერო თუ საერო მწერლობის სრულად სხვადასხვა დარვის ძეგლები. წყაროთა ეს ნაწილი იმითა, განსაკუთრებით ფასეული, რომ მათ ძირითად შემთხვევაში დედანი მოეპოვება და ქართული ტერმინის დასადგენად დედაში იმა თუ იმ სიტყვის არსის, ხოლო თარგმანში მისი შესატყვისის სისწორის დადგენის საშუალება იქმნება.

**მესამე,** ასევე ძალზე მნიშვნელოვან წყაროთა რიგში დიდი ლექსიკოგრაფების სულხან-საბა ორბელიანის, დავით ჩუბინაშვილის, ნიკო ჩუბინაშვილის მიერ შედგენილი ლექსიკონები წარმოადგენს მათ რიგს. მათგან ნიკო ჩუბინაშვილის ილია აბულაძისეული ძველი ქართული ენის ლექსიკონი.

წერილობითი ძეგლებიდან სასურველ ტერმინების მოკლება რთული პროცესი იგი უფრო მეტად დროისა და ვულგარისების საქმეა. ბარათებზე ცალკეული იტყვიების გადმოტანას ისიც აიოლებს, რომ, როგორც აღნიშნა, გამოცემულ თხზულებებს ლექსიკონებიც ერთვის ხოლმე.

შედარებით უფრო შრომატევადია სხვა ენებიდან ქართულში გადმოსული ტერმინების შეცვლისთვის გაწეული სამუშაო საბელოვებათმყოფელი მეტყველებასში ფეხმოკიდებული უცხო ტერმინისათვის ქართული შესატყვისის მოსაძებნად საკირო იქნება მოიძებნოს თავად ამ დამკვიდრებული ტერმინის შემცველი უცხოენოვანი პირველწყარო და არსებობის შემთხვევაში მისი ქართული

თარგმანი თუ არა და აღნიშნული დედანიდან პირველწყაროდან წარმოსული რიგობი სხვაენოვანი ნუსხა, რომელშიც უცხო ტერმინი იქნება ჩვენში შემონახულ იმა თუ იმ თხზულებას. ამ ორი (უცხო და ქართული) იტყვიების შეყრებაში, ვფიქრობთ, ხშირ შემთხვევაში სასურველი ნაყოფი უნდა გამოიღოს და ჩვენს კვლევამოძიებულ ქართულ სიტყვით შეავეძლება შევცვალოთ დროთა განმსვლობაში შემოსული ე.წ. თუ ის ტერმინი.

სახელოვებთმყოფელი ტერმინოლოგიის დასადგენად ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროთაგანი **ეპიგრაფიული ძეგლებია**. ეს მასალა პირითად-დ ორ ჯგუფად იყოფა:

- ა) ისტორიული ხასიათის წაწერები
- ბ) განმარტებითი ხასიათის ტექსტები

დასახელებულითაგან პირველი ერობ სრულსხმო მასალა შეიცავს ბელოვების ძეგლთა შექმნის სხვადასხვა პროცესის შესახებ აქვე დამოწმებულია თავად ოსტატთა ფერწერების, ქვითხროების, ხითხროების, ოქრომჭამაქებლების აღნიშნული ტერმინებიც. მეორე რიგის ეპიგრაფიული მასალა იმ მხრივაც საყურადღებო, რომ ფაქტობრივად მან შემოგვინახა იკონოგრაფიული ხასიათის ტერმინოლოგია ძველი და ახალი აღთქმის თხზულებების პერსონაჟთა, ცალკეული სიტყვების სახელები, კომპოზიციების წარმოდგენილი ცალკეული დეტალები, ქართული სახელწოდება.

ქართული ეპიგრაფიკის კვლევის დაახლოებით ორასი წლიანი ციულღებტეტადიან მოკიდებულ(ი) მახილზე შესწავლილი, თავმოყროლი და გამოცემულია ისტორიული ხასიათის წაწერების მნიშვნელოვანი ნაწილი. ამ მრავალრიცხოვანი პუბლიკაციებიდან სათანადო მასალის ამოკრება, მისი სიტყვაში მოყვანა ილია მთლად მკვლევართა ჯგუფის მიერ მიმდევრული მუშაობისა და დროის საქმეა. განმარტებით ხასიათის ეპიგრაფიულ ნიმუშებს რაც შეეხება, იგი ჯერ კიდევ ძალზე დიდ შრომას მოითხოვს თავად ძეგლებზე. ამ მხრივ განსაყურებით შრომატევადი სამუშაო ჩასატარებელია ფრესკულ წაწერების შესაკრებად. ვფიქრობთ, ეს ევლტულის ძეგლთა რესტავრაციის მხარე ტექსტების პირობებში, ცალკეული ხერხობილი უნდა იქნას ფერწერული ნიმუშების დადგენის პარალელურად უნდა განხორციელ-

ქეს (სწორედ რესტავრაციის პროცესში ძეგლებზე აღმართულ ხარახოებზე მუშაობისას მის შესაძლებელი თითოეული ტექსტის უწყლოდ ამოკითხვა და ფიქსაცია). ლამაზად, კვლურად, ფრეაველი. ქსოვილებზე. ზნაქარზე, ხეზე თუ სხვა მასალაზე არსებული წარწერების ამ გუფის პუბლიკაციის შემდეგ (მათი გამოცემა შესაძლოა განხორციელდეს ცალკეული ძეგლის მიხედვით ამ გეოგრაფიულ-ქრონოლოგიური პრინციპით) გვექნება სრულად უნიკალური მასალა. რომელიც ექვი არაა, ერთობ ფასეული იქნება არა მხოლოდ სახელოვნებათმცოდნეო ტერმინოლოგიისათვის, არამედ ქართული ხელოვნებისა და კულტურის მრავალი საგულისხმო ასპექტის ნათელსაყოფად.

კომეორებით. ამ მუშაობის დასრულებას არერთი წელიწადი დასჭირდება. ისიცაა შესაძლებელი, რომ მისი ღამაბოლოოებელი (საბოლოოდ კი, როგორც ითქვა, ქართული სახელოვნებათმცოდნეო სიტყვიარის შედგენა მასალოდნელი) სპეციალისტი-ენათმეცნიერაც გახდეს. ვფიქრობთ, არ იწნებოდა სწორად, ასეთი შექაშების მოლოდინში არაფერი ელონოთ — მოძიებულ ტერმინებს ახლოვენდა დამკვიდრება, არც ის ივარგებს, რა იქნა უნდა, ნაშრომები ახლადმოპოვებულ სიტყვებით გადავაჭრულოთ. ნახევრადგამოცანად ვაქციოთ ისინი. შემოსატანი სიტყვები ათანალო განმარტებით (ამის მთავალით მოგვცა ვ. ჭაფარაძემ საჩოფაგის უფოს აღზანიშნაეად „როფი“ რომ აღადგინა) უნდა იქნას მოტანილი. უთუოდ არცთუ ქარბად. მაგრამ ასეთი მცდელობის გარეშე ნებინაიერი, საუკეთესოა და უზუსტესი სიტყვაა აღიოსადა და გაქრობადა განწირული.

**შემათხვენილი**

1 II Чувственно-инстинктивный (С.И.И. ენობ. მოამბე, 1940, ტ. IX, გვ. 83-86, მისივე Аргументы Кувелин, Тб., 1958, გვ. 207  
 2 ი. ჭაფარაძე, მასალები ქართული ენის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, მუხვების ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1946, გვ. 112  
 3 ი. ი. მც. ტარაძე რქმანლოგი (აღკვეთი-მეცნიერება), მოკლე აღწერა საქართველოს მონასტერთა

საქართველო. მასალოი მამაობელი, 1864-22 წ. გვ. 22. კომპილოდაც — ბერიძე, ზინატიუ-ტაი. კტეტი სოაიის ტარას მუხვების შესახებ წიგნი შეთარავენილობი ქართული თარგმანი, თბ., 1937, გვ. 31  
 4 ი. ჭაფარაძე, ი. ი. მც. ნაშრომ., გვ. 96  
 5 იქვე, ი. 118  
 6 იქვე, გვ. 118  
 7 იქვე, გვ. 112. ხელხუ მატერიალმაზი ე. წ. მუხვილდა-ოლის სხვ. სიტყვების მომარტება თუმა მასზე ნაქლებ-ლოსებისა. „სწორი თალო“, 1939, თალო. „ფასტალო“, მასალები საქართველოს ზნაქარელობისა და წყარო ხელოვნობის ისტორიისათვის, კართ. ი. ჭაფარაძის აღკვეთილი, I, თბ., 1976, გვ. 44, 42.  
 8 მასალები საქართველოს ზნაქარელობისა და წყარო ხელოვნობის ისტორიისათვის, I, გვ. 48  
 9 იქვე, გვ. 35.  
 10 ი. ჭაფარაძე, ი. ი. მც. ნაშრომ., გვ. 146-147.  
 11 იქვე, გვ. 96. შერ. მასალები... გვ. 228, 227, 252, 282, 297, 324, 342  
 12 სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კან., თბ., 1949, გვ. 233  
 13 ს. ი. ზებინაშვილი, ქართული ენისათვის, თბ., 1963, გვ. 273, 254  
 14 სულხან-საბა ორბელიანი, სწავლა ნებისათვის უფლისა და ოსების განსუფრისათვის და უცუბის საყვრისათვის, თბ., გვ. 111, თბ., 1963.  
 15 ვახტანგ VII, წიგნი ხეთების შეხვეებისა და ზემოს მწიხის, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს შეთარაველი კომენტარით, ტომბინა საბოებელი და რეკონსტრუირეს თ. ვახტანგის თ. კ. კორონაშვილმა, თბ., 1981, გვ. 20.  
 16 გიორგი მთაწმინდელი, სმოკრება ნეცარისა მ. მს. ხეუხსა ორბელიანი და უფოფესა. ძველი ქართული ეგოგოლოგიული ლიტერატურის ძეგლები, II, თბ., 1967, გვ. 53.  
 17 ქ. ზარაშტი, სმოკრება საქართველოს ისტორიის მასალები IX-XI-XV სსს, თბ., 1982, გვ. 25.  
 18 ვ. სიხიტაძე, ტარას მომარტარი ისტორის აღზნიშნული ტერმინისათვის ძველ ქართულში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 103 № 1 1981, გვ. 221-224  
 19 ვ. მარტია, ხელოვნობა ძველ საქართველოში, წიგნი „სასტორიო მუხვები“, ტ. I, თბ., 1982, გვ. 53  
 20 იქვე, გვ. 67.  
 21 ვ. მარტიაშვილი, უბისი, ტფილისი, 1931, გვ. 8, გვ. XXVIII.  
 22 ი. ბერიძე, ი. ი. მც. ნაშრომ., გვ. 31  
 23 ამ ტერმინს უფრადლები მარტიაშვილი ხელოვნებათმცოდნეობა თუ რეკონსტრუირება „მამაშვილები“ თუ სხვათაგანზე.  
 24 ამ სიტყვის თარის მონასტრის მონაველობაზე თუ რეკონსტრუირება, ი. ი. მც. ნაშრომები, გვ. 112-113